ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №32/9/1

07 „09“ 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ჯინჯიხაძის სახით და მეორეს მხრივ ფ. პ. „მაკა კუკავა“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მაკა კუკავას სახით.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აგვისტოს N1788 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, 2017 წლის გაეროს ქალთა ორგანიზაციის გრანტის ,,გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ” ” ფარგლებში, შემსყიდველის სტრუქტურულ ერთეულებში განთავსებულ მსხვერპლთა საჭიროებისათვის ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმძღვანელოს შექმნის (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-კოდი 22400000 – მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები, დეტალური CPV-კოდი - **22470000** - სახელმძღვანელოები) მომსახურების შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 4900 (ოთხიათასცხრაასი ლარი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმძღვანელოს შექმნის მომსახურება, კერძოდ სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს :

ა) ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში მინიმუმ 2 ქვეყნის საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს;

ბ) ბენეფიციარების უნარების და შესაძლებლობების დიაგნოსტირებას და ადგილობრივ შრომის ბაზარზე დასაქმების პერსპექტივების დადგენას;

გ) ინდივიდუალური პროფესიული და პიროვნული პროფილების შემუშავებას;

დ) ბენეფიციარების განვითარების გეგმებისა და განვითარების სტრატეგიების შემუშავებას;

ე)ბენეფიციარების განვითარების სისტემებს და შესაძლებლობებს;

ვ) დამსაქმებლებთან კომუნიკაციას;

ზ) კომუნიკაციისა და ადაპტაციის სისტემებს;

თ) დასაქმებსა და პროფესიული განვითარების მიმართულების ვებ-პორტალის ზოგად აღწერილობას და შესაძლებლობებს;

3.2. მომსახურების ღირებულება სულ შეადგენს 4900 (ოთხიათასცხრაასი ლარი) ლარს. მათ შორის 3920 (სამიათასცხრაასოცი ლარი) ლარი ხელზე ასაღები თანხა, ხოლო 980 (ცხრაათხმოცი) ლარი შემსყიდველი იღებს ვალდებულებას დაუკავოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 24 ნოემბრისა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 მომსახურების დასრულებიდან არაუმეტეს მომდევნო დღისა მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტისა და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2. „შემსყიდველი"ვალდებულია:

7.2.1.უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2.დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამოარ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების დაფასების გადასინჯვა

10.1თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით

მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარე მათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს პროექტის „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია" დირექტორი სოფიკო ბელქანია;

15.2. წიმანდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაღვრული პირის ფუნქციებია:
15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;
15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, ინსპექტირების დასკვნის და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები
17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან'.'

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”	ფ.პ. „მაკა კუკავა“
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა	თბილისი, დგებუაძის ქუჩა #1, ბინა 36
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
კოდი № TRESGE22	კოდი BAGAGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022	ბ/კ. GE49BG0000000206859800
ს/კ № 205169592	პირადი # 01012026975
ლაშა ჯინჯიხაძე	მაკა კუკავა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	ფიზიკური პირი